

სიკვდილი

გ.ბ. შ. აბაშიძისა




— ორი კვირაა, თქვენთან ვარ, დედაქალაქში, არაფერზე არ უკვირებინებართ, ღელს მივამოგზავრები და მივლინება დამიმოცხვით!..

რ ამდენი ვეხვენე ჩემს დირექტორს, არაფერი გამივიდა: მაინც გამგზავნა მივლინებაში! წასვლით კი წავალ, რა სჯობია მოსკოვში ყოფნას ახლა, ამ ცივ ზამთარში, როცა ფილტვებიდან გამოყოფილი ნახშირორჟანგიც იყინება და ხურდა ფულივით ცვივა?! ამბობენ, იქაც ისე ცივა, როგორც თბილისშიო, მაგრამ მოსკოვი სუბტროპიკულ ქალაქად, მოგეხსენებათ, არ ითვლება და ამიტომ შენობებს კარგად ათბობენ. ან თუნდაც შეხვალ „ცუმში“, ან „გუმში“, შენთვის ჩაილიღინებ ქართულ სიმღერას — „ცუმში ჭირიმე, გუმში ჭირიმე, შენ გენაცვალე!“ — კარებშივე გეცემა ცხელი შაერი და გაგითბება ძვლები. ანდა, საღამოს გააღებ სასტუმროში შენი ნომრის კარს, ფოსტლებში ჩაყოფ ფეხს და კაცი ხარ!

მართლაც, რა სჯობია იმას, როცა გამოუღველად გაქვს ცხელი წყალი, სითბო არ გაკლია და სინათლე. კვანარახი და აჯიკაც რომ იშოვებოდეს, შენს ბედს ძალი არ დაყუფს! მარა მაინც მიჭირს მოსკოვში წასვლა! ბოლოს და ბოლოს, აჯიკას თან წაიღებდა კაცი, მაგრამ, გამოცდილებით ვიცი, ყველაფერი ისე კარგად არ აენყობა, როგორც ჩემი მივლინების ბარათში სწერია — მივლინებულ იქნეს ქ. მოსკოვში ინჟინერი ბურდგუ კოციევიჩ დზიდზიგური... 7 დღით!..

მაგრამ რა გაენყობა: დირექტორმა ქვა ააგდო და, ყოველი შემთხვევისათვის, ჩემი თავი შეუშვირა — სასწრაფო საქმეა და შენსავით, ჩემო ბურდგუ, ამას ვერავინ გააკეთებსო! მესიამოვნა უფროსის ქება და ვტუცე თავი აეროფლოტის საღაროში. მეორე დღეს, დილით, აეროპორტში ვიყავი. მესამე დილითაც იქ გახლდით და ვუსმენდი საოცრად ნაცნობ ხმას, რომელიც საოცრადვე ნაცნობ სიტყვებს კარგი ქართულით იმეორებდა: „გაფრენა თვითმფრინავისა, მიმავალი მოსკოვის მიმართულებით, რეისით 934, გადადებულია ერთი საათით!“, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და მესამე დღეს ჩვენი საუკუნის საოცრება — ცისფერი ლაინერი აიჭრა ცაში. ორ საათში მოსკოვში ვიქნები! გავამართლებ ჩვენი საყვარელი დირექტორის ნდობას, ამოდ არ დაიხარჯება ჩემს მისავლინებლად გამოყოფილი თანხაც!

დღეს ოთხშაბათია, მე კი მოსკოვში ორშაბათს ვაპირებდი ჩასვლას, რომ შაბათამდე ყველაფერი მომეხსნრო. შაბათს და კვირას მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტი ისვენებს. ამ დღეებს საყიდლებისთვის გამოიყენებ: ჩვენმა მთავარმა ინჟინერმა მთხოვა, შევი-



რო გოლიათების მალაზიაში და სამოცდარვა ზომის შარვალი ვუყიდო; მთავარმა ბულალტერმა რალაც დამავალა „დეტსკი მირში“; კადრების განყოფილების უფროსმაც — შენთვის რომ შეხვალ მალაზიაში, მეც ეს მიყიდე, თუ ეს არ იქნეს, ის ნამოიძღვანიე და, ფული თუ დაგრჩა, კიდევ ისო!.. ყველაფერი ჩანერი-ლი მაქვს! ჩემთვის არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, მაგრამ სხვისთვის რომ შევალ მალაზიაში, ეგება მეც ნამძლიოს სულმა და ვალებში ჩავევარდე!..


სამუშაოდ მრჩება სამი დღე: ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი. როგორმე უნდა ვიკმარო!..

რა ხდება?! ერთი საათიც არ გასულა და, თვითმფრინავი დაბლა ეშვება!.. აქ არც დომოდედოვოა, არც ვნუკოვო, არც შერემეტიევი, არც, თქვენ წარმოიდგინეთ, ბიკოვო! ეს როსტოვის აეროდრომია! მოსკოვმა უარი თქვა ჩვენს მიღებაზე! ისევ გაისმის ეთერში საოცრად ნაცნობი ხმა, საოცრადვე ნაცნობი

ნახ. მ. აბაშიძისა



— ამაზე საყვედურს ვერ ვიტყვი, დროზე მოდის და დროზე მიდის!..



— ისევ დაავიანეთ?!
— რა ვქნა, აბა, ხუთ სამსახურში ვარ გაფორმებული და ხუთად ხომ ვერ გავიჭრები?!

სიტყვები, მხოლოდ ამჟამად მარტო რუსულად. გაის-
მის მეორე დილამდე!..

ვაშა! მოსკოვში ვარ! დღეს ხუთშაბათია, მაგრამ,
ეგებ, მაინც მოვასწრო საქმე! ჯერ უნდა დავზინავდე!
მივდივარ სასტუმროში!..

— ადგილები არ არის! დღეს მონინავე მწველავთა
სიმპოზიუმი იწყება და ყველა ნომერი დაჯავშნულია!
მეორე სასტუმროში:

— ნომრები არა გვაქვს და არც ვიცით, როდის იქნე-
ბა! უცხოელი ტურისტები გვყავს!

მესამე სასტუმროც „უცხოელ ტურისტებს“ უკა-
ვიათ: ბანძელ ილარიონ წინწავას, ოჩხამურელ ქსენია
ტკვერადებს, სამტრედელი სირანუშ მეგრელოვს!

მეოთხე სასტუმროშიც ასეთი მდგომარეობაა, მე-
ხუთეშიც, მეასეშიც!..

მივადექი ასმეურთე სასტუმროს! უკვე შუალამეა და
ფეხს არ ვიცვლი!

- გაბრძანდით, მოქალაქე, გარეთ!
- გარეთ ცივა!
- აბა, ჩვენ გავალთ!
- რაფა გეკადრებათ!..

თავს ვაცოდებ ადმინისტრატორს, თან მინდა, თავი
მოვანორო, ქათინაურებს ვუფუნებ. მაგრამ ვის მოე-
ნონება ჩემსავით საცოდავი, უსახლკარო კაცი?!

— ვერ დავიჯერებ, რომ თქვენ, ასეთი მშვენიერი
არსება, მე, სამხრეთელ კაცს, მზისა და სითბოს მოყ-
ვარულს, თქვენთან სტუმრად ჩამოსულს, გარეთ გა-
მაგდებთ!

ბოლოს გაჭრა ხვენწა-მუდარამ. რა გამოლევს ქვეყ-
ნად კეთილ ხალხს?! ერთი ღამით შემიშვეს, მხოლოდ
ერთი ღამით! მაგრამ ესეც საქმეა: ერთი ღამეც არ
დასჭირდება საღ-საღამათ კაცს იმისათვის, რომ რო-
მელიმე სასტუმროს წინ ყინულის ძეგლად იქცეს!..

გათენდა პარასკევი და საღამომდე მოვუნდი სას-
ტუმროების ხელმეორედ შემოვლას. კეთილ ხალხს რა
გამოლევს ამ ქვეყანაზე — კვლავ მომცეს ერთი დღით
ბინა!

შაბათს ვიყავი გოლიათების მაღაზიაში. შევასრულე
ერთი დავალება, ვიყავი უნივერმალში და ვერ ვუშოვე
კადრების განყოფილების უფროსს ეს, სამაგიეროდ
ვუყიდე ის, დამრჩა ფული, მაგრამ ჩემთვისაც ვიყიდე
ის და დამედო ვალი!..

კვირას გამოვფრინდი თბილისისაკენ!..
მივლინებამ წარმატებით ჩაიარა!

აკციაიტერ


ნახ. ზ. ფიცხალაშვილი



82

— რა ვუყო, მთელი დღე მარტო გაზეთებს კითხულობს,
სამუშაო საათების მოცდენის საკითხს ვამუშავებო!..

ნახ. ი. ყინაშვილი



ხელფასის მოლოდინში

**თვით სიკვდილსაც
უჩივლებს!..**

(პ ა რ ო დ ი ა)

- კაცო, კაცო, აგგულო, ვის უმიზნებ, ვისა?
- ვინც ფრთას აკვეცს ჩემს სურვილს, არ
მისქელებს ჭისას!..
- რატომ ლანძღვ მართალ კაცს, ხდი
გინების ღირსად?
- ყველა წყალს წაუღია, არა ვწამვარ
ვისაც!..
- სულ მლიქვნელობ, ხათრი კი არ გაქვს
თვითონ ძმისაც!
- გაგონებაც არ მინდა დამრიგებლურ
ხმისა!..
- სულ ინტრიგას უნდები, წერ და
იფრთხობ ძილსა!
- აუგად ვინც მახსენებს, რისხვა ჰქონდეს
ცისა!..
- ბევრი დაჰკალ უდანოდ! განა ვამბობ
ტყვილსა?
- მაშ, მემეშვით, თქვენც ვადრე
დაგაძრობდეთ კბილსა!..
- უკანონო მოთხოვნებს რად იკარებ პირსა?
- შამპანური ვარჩიე, არ მსურს წყალი ჭისა!..
- თვითონ რას ქმნი, გვითხარი, ვის არგინარ,
ვისა?
- ვბერდები და რაღას მოთხოვთ, ამოდენა
ხნისას?!
- აღრე რას აკეთებდი? შემქმნელი ხარ რისა?
- მბრძანებელი განლავართ მიწისა და ცისა!
- ისიც არ დაგავიწყდეს, კანონი რომ ჰქრისა!
- ტყვია ჯერ არ მისვრია, ისეთი რა მჭირსა?
- ალბათ, გაგასწორებდა მიწა სამარისა!..
- თვით სიკვდილსაც ვუჩივლებ, თუ ხელს
მახლლებს ისა!..

ვლადიმერ გელაშვილი

ჰინავს უნდა აქყინოს !

ხმა გავარდა ისეთი,
ზეცამ იწყო წგრევა:
— აფრასიონს დაარტყა!
— ვინ დაარტყა?!
— წნევაში!
— ნუთუ, მართლა დაარტყა?!
— დარტყმა რომელია!
— ასეთ მაგარ დირექტორს
წნევა მოერია?!
— გულიც ცუდად ჰქონია,
ოსრავს ბედით კრული!
— ტყუილია! აფრასიონს
როდის ჰქონდა გული?!
— ჩაქცევია ტვიზშიაც,
გაუცლია ღდაში!..
— ეს მთლად მოგონილია,
მას სად ჰქონდა ტვინი?!
მფარველები არ აკლდა,
სხვა სიკეთის გარდა,
პროტექციით დანიშნული
ხელქვეითებს ჭამდა!..
თანამშრომელს უჭირდა,
ინვა, ველარ მორჩა,
დირექტორთან მივიდნენ:
— დავეხმართოთ ოჯახს!
აფრასიონს ფოლადი
გაერია ხმაში:
— ოჯახს დავეხმარებით,
რომ მოკვდება, მაშინ!
ახალგაზრდა კაცმა
უთხრა გულის თრთოლივით:
— საცოლე მყავს, ბინა მინდა,
მსურს, შევიერთო ცოლი!
დირექტორმა პასუხს
როდი ალოდინა:
— გათხოვდეს და გაჰყვეს
მას, ვისაც აქვს ბინა!
კაცს, გუნებამხიარულს,
შეუცვლიდა იერს,
ხალხის ნაკიდებამიც
დაოსტატდა ძლიერ!
წუხდნენ თანამშრომლები,
მოღრუბლოდათ სახე,
ამ უძლეველ უფროსთან
რომ ვერაფერს გახდნენ!..
— აი, იქ მყავს მფარველი! —
თითს იშვერდა ზევით!
ზოგს დამართა ინფორმტი,
ზოგი მოკლა წნევით!..
მაგრამ ერთ დღეს გაისმა
და არ მიწყდა გვიან:
— აფრასიონს დაარტყა!
— დარტყმაც ამას ჰქვია!
— ახლა აუგს ნუ იტყვიოთ,
რაკი, კვდება თვისით!
— სწორედ ის დაემართა.
რისიც იყო ღირსი!

რაგინდ დიდი სახელით
ჰქუხდეს ზღვიდან ზღვამდე,
კაცად უნდა ვარგოდეს,
კაცს არ უნდა ჭამდე!
როცა მოვა სიკვდილი,
დაემეება ფარდა,
ვინმეს უნდა ეწყინოს,
შენიანთა გარდა!

შოთა როყვა
(ქ. ბათუმი)


ნახ. ი. ხინაუზვილისა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ



კაპინეტიში ზის კაცი,
თავი იდაყვზე დაუდვია
და თვლემს. მოსადგელში
თანამშრომელი ეკითხება
მდივან გოგონას:

- რაზეა ეს კაცი ჩვენ-
თან გაფორმებული?
- ფორმალისმის წი-
ნაალმდეგ მებრძოლი კო-
მისიის თავმჯდომარე!
- დანერე ოქმი, ვითღმ
ჩავატარეთ კრება!
- საკითხი, ბიკენტიჩ?
- „გებრძოლოთ ფორ-
მალისმს“!
- დღეს კრებიდან უნ-
და გავიპარო!
- რა საკითხს იხილა-
ვენ, თუ იცი?
- დისციპლინის სა-
კითხს!

— ვისთვის აწყობთ ამ-
ხელა ბანკეტს?
— ლექტორებს ველოდ-
ებით, ზედმეტი ხელგამ-
ლილობის, მფლანგველო-
ბისა და უყიარათობის
წინააღმდეგ ლექციები
უნდა წავკვიტოთ!

ვანო ცინცაძე



— შრომის დისციპლინის განმტკიცების თაობაზე თათბირს ვატარებ და მალე გეახლებით, ამხანაგო მინისტრო!

კადასარუა ეუფევი

(სენა ერთი ღაფსეკაჟის ცსოპრაჟიდან)

კაბინეტი. ტელეფონებიან მაგიდასთან ზის კაცი და კროს-ვორლის შევხებაზე წვალობს.

— მეხუთე თარაზულად: აღამიანი, რომელიც არაფერს არ აკეთებს! — ექვსი ასო... ავადმყოფი არა, ცხრა ასოა!... კატამარია... რვა!... მიცვალებულია?... რა უნდა იყოს?!

რეკავს ტელეფონი
— დიხ! გისმენთ, პატივცემულო გერონი... ორი საათის წინ?! გასული გაზღვით საქმეზე... არც მოადგილე იყო?! რას ბრძანებთ?! ნე მოყეტ ბიც! მისასურეთ, პატივცემულო გერონი... დიხ! გასული წლის აპრილისა და ივლისის, არა?.. კი, ბატონო, ხვალ დილით გექნებათ მაგიდაზე!... თუ არადა, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! კარგად ბრძანდებოდეთ!
— უფ!.. (რეკავს ზარს. შემოდის მდივანი ქალი) ზაირა, თუ ქალი ხარ, ერთი სერვის დაუძახე, ჩემს მოადგილეს და უთხარი, სასწრაფოდ გამიმზადოს დღის ბოლომდე შარშანდელი აპრილისა და

ივლისის გასულა-გამოსვლა, (თითხ მალა იშვერს) ზემოდან გვთხოვენ!

ზაირა: — სერგო არ მობრძანებულა ჯერ, ბატონო!

კოტე: — რას ჰქვია, არ მობრძანებულა?! თერთმეტი უკვე! შეხედე!

ზაირა: — ჯერაც არ დუგვიანებია! პირველი ხომ არ არის?! (თავისთვის ხითხითებს).

კოტე: — ანდროს უთხარი, მეორე მოადგილეს!..

ზაირა: — ანდრო უკვე წაბრძანდა, თამადალ დაპატრეეს დაბადების დღეზე და, დასვენება მჭირდება!

კოტე: — რას ჰქვია წაბრძანდა?! ჯერ თერთმეტი საათია, შეხედე!

ზაირა: — ჯერაც არ წაბრძანებულა! პირველი ხომ არ არის?!

კოტე: — გიორგისთან გავარდი, მთავარ ეკონომისტთან!

ზაირა: — ბატონი გიორგი და ბატონი თედო სანადიროდ არიან წასულები, ხომ იცით, დღეს პარასკევია და...
კოტე: — სახადიროდ?!

სამუშაო საათებში?! გადაიკრები!..

ზაირა: — (მზრებს იჩენს) ბართლაც გადასარევივია, ასე რომ ირევიო, ბატონო კოტე!.. წინა პარასკევს თქვენც ხომ უნდა წაყოლოდით, მაგარად!..

კოტე: — ენას კბილი დაავიკრე!.. გავარდი ახლა და გადმოსვლის განყოფილების გამგე მომგვარე აქ!

ზაირა: — ბატონი გედონი?! ერთი კვირაა, თვალით არავის უნახავს: ხომ იცით, ბიჭი ჰყავს უმადლესში. მოსაწყობი და...
კოტე: — ეგ რა ჩემი საქმეა?! სამუშაო საათებში...
ზაირა: — შარშან თქვენც კი დაბრბოდით თქვენი ქალიშვილის მოსაწყობად, ბატონო კოტე, სამუშაო საათებში!.. მოაწყვეთ კიდევ!..
კოტე: — გამაგიჟებს ეს ქალი! დავიჯერო, მიმოსვლის განყოფილებაშიც არავინაა?!
ზაირა: — მაგენმა პრემია აიღეს დღეს და სამადრიხოლ არიან წასულები. აგერ, ეს დავიტოვეს (ბარათს აწვდის), აქ ვიქნებით და, თუ არ მობრძანდებით, ძალიან

გვეწყინებო? იმ კვარტალის პრემიაზე რომ დრო ვატარეთ, მონაგონი იქნებო, ასე შემოგივალეს.

კოტე: — ჩემი სიკვდილი გქონიოთ დღეს გადაწყვეტილი და ეგაა! (ხმანაწყვეტლო) მიდი, თუ ქალი ხარ, არქივარიუსთან და შარშანდელი აპრილ-ივლისის გასულა-გამოსვლის საბუთები მოატანინე, მე თვითონ შევადგენ ანგარიშს!.. (საათზე იუჭურება) აფსუს, რა ძიუდოს ვაძღვნი! ხაბარლის კიდაობა წელსაც ვერ ვნახე, თქვენი გადაწყვიდე! გასაყრელი ხართ ყველანი! ჰე, მიდი ახლა!

ზაირა: — სად, არქივარიუსთან?! მაგას ხომ დედამთილი გაუთხოვდა, ბატონო კოტე, და ერთი კვირაა, სახლიდან არ გამოდის. გახსოვთ, თქვენც რამდენი იცინეთ?!

კოტე: (გულზე ხელს იდებს, პირს აბრუნებს და ცდილობს, ღრმად ისუნთქოს) — ექთანს დუძახე, ზინას, დამალვინოს ზელენინისა!..

ზაირა: — გადასარევი ამბავია! ზინა თქვენ თვითონ არ გაუშვით სამი დღით სამეგრელოში თავის ჩამოსატანად?! აგერ, წყალი მიირთვით, ბატონო კოტე!..

(წყალს ჩაახსამს ჭიქაში და აწვდის, მერე შემოტრიალდება კარისაკენ და განცვივებული ამბობს): რა ჭია შეუჭდა დღეს, ვერ გამოვიდა?!

კოტე: — მოიხედე აქეთ! (ზაირა უყურებს) კაცი, რომელიც არაფერს არ აკეთებს, ექვსი ასო, გოგო, ექვსი!

ზაირა: — (წამით ჩაიქრდება) უქნა არა!

კოტე: — (ანგარიშობს) უქნა-არა! ყოჩაღ, აბა, ჩავწერთ! (ზაირა მიუახლოვდება, მხარზე ხელს ჩამოსდებს და კროსვორდს ჩაჭურებს, შეწყობილად ბუტბუტებენ): უქნა-არა!

ზაირა: — რა გადასარევი შეივსო!

კოტე: — რა მეშველებათ ახლა მე?!

ზაირა: — დაურეკე გერსონ ისონოვის და აუხსენი მდგომარეობა! კაცია, ხომ არ შეგპამს?!

კოტე: — ჯანდაბას, გერსონკაც! (კრეფს ნომერს) ტრესტია? გერსონ ისონოვისს თხოვეთ! რაო?! ოთხშაბათად არ იქნება?! კი, გენცურმოსლს) გაგრაში წავიდოდა, ამ დროს მაგი ყოველთვის გაგრაში დღის მივლინი დღითი... გასაგებია?! ავშენდით!.. სად ვიქნებითო? (კითხულობს ბარათს) ფაცხაში!.. აბა, ჰე, ჩიცვიც, მიკეტ-მოკეტე და გავვარდეთ!

სენაზე რჩება მაგიდა, რომელზეც ტელეფონი უიმედოდ წკრიალებს.



ანტონოვსკი

ნათანას უდროოდ წა-
სული ჰბუკი მხატვრის —
დანიელ კრაჭავჭავაძის —
ის გამო უმრავო დაწერა
საბუთო კავშირზე დასაწ-
ვარკვევად. დიდი გამო-
ყენება, ისევე როგორც
მისი ბედის თანაზარისა და
თანატოლის — ნათანას რუ-
შევიან გამოყენებმა, მხატ-
ველზე მართლაც წარუშლელ
ლი შეხებულდება დატოვა.
ამდენი კეთილი სიტყვა მარ-
ტო დაწვრილებული გერის-
რულების თანაზომისა და
თანაგერისობისათვის არ თქმუ-
ლა უბრალოდ, სიკვდილმა
დროზე ადრე შეგვანდა და-
თოს ფინანსური ნებისკენ,
როგორც სუფიანი, დღეს
„ნათანას“ თითქმის მისთვის
შეუფერებელ სიტყვებს ამ-
ბობს, მაგრამ გინდა, ჩვენს
მრავალთაიან მეთხუელს
ისიც ვნახოთ, როგორი ღი-
მული იყო და დიდი კრაჭა-
ვაძის.

მის გრძობიერ ნახატებს
გთავაზობთ კონტენტარის გა-
რეში — დათოს დამოღიანი
ფანქარი და ფურცელი სხვის
დაუმხარებლადე კარგად ამ-
ბობს სათქმელს.

გასულ წელს დავით
(დათო) გიორგის ძე
კრაჭავჭავაძის (სიკვდი-
ლის შემდეგ) საქართველოს
კომკავშირის პრეზიუმენ-
ტი.

ცრემლსა და ღიმილს შუა
მოქცეული ჯეიმსტონიანი
ცხოვრება გრძელდება!



ლოთი წაღმან



ურარდელი



მეა აღამიანი

დათო ქრანჭავაძე



აკეთილის სივალე



ჯანო

ნახ. ბ. ფირცხალაშვილი



— კი მაგრამ, არ გაწყენთ ამდენი ღვინო?
 — ეს ღვინო კი არაა, შაქრის ჭარხლის წვენია, ვიტამინებით ხავსე!..

- ნიკოტინს ბ რ ძო ლ ა უველაზე ადრე გამოიღველებმა გამოუცხადეს — „კოლმეტი“, „კოსმოსი“, „მეიური“ დასაქვეშ გადაშალეს.
- დირექტორს მ ა რ ტ ო კარგ საღამოს აძლევდა და... მოხსნეს...
- ტაძსუი მ რ ი ც ხ ვ ე ლ ი იმიტომ დგას, რომ გამოიანგარიშო, მძლოლმა წედმეტი რამდენი აიღო.
- მსუბუქი ა ვ ტ ო მ ა ნ ქ ა - ნ ა შეიძლება, მსუბუქი შრომი. თაც შეიძინო.
- „ცოდნა თ ა ნ დასდევს მცოდნელსა“, უცოდინარს კი — მამო.
- გაგვიძველმა თ ი თ ი ს ძლით თითოთ საჩვენებელი სახლ-კარი მოიწყო.
- თავაზიანად აღუშლიარ და — თავზე ხელს უხვამდენ.
- არ ი ყ ო . თ ა ნ ა მ ა , მ ა გ რ ა მ თ ა ნ ა მ დაითანხმა.

ოთარ ნაზაზიანი
 (ქ. სოსხუმი)

ბ. ვიოჩავა
 (ბულგარეთი)

ყვანოყვანი

ყველა ადგილზეა!


მეგამავა პოპატა-
 ნასოვმა დამძიმებ-
 ული ქუთუთოები ძლივს
 ასნია და საათს შეხედა.
 თავი ზარივით უგუგუნე-
 ზდა და გამშრალი ენა
 პირში ძლივს ეტეოდა.
 „ღმერთო ჩემო, ნეტავი
 რა საჭირო იყო, მთავარი
 ბულატრის დღეობაზე
 ასე რომ გავიღეშე?“ —
 გაიფიქრა მან. უკვე ცხრა
 საათია — სამსახურში
 დაავიანდა. დარეკოს,
 თუ არა?..
 ნომერი აკრიფა და
 დირექტორის მდივანმა
 უპასუხა.
 — დირექტორი მანდ
 არის? — ჰკითხა ჩახლე-
 ჩილი სმით.
 — ვინ კითხულობს?
 — მთავარი სამმართ-
 ველოდან ვარ...
 — იცით რა... ამხანაგი
 ანგელოვი ამჟამად... სა-
 ამქროშია...
 — მაშ, მთავარ ინფი-
 ნერს შემაერთეთ!
 — სამწუხაროდ, სხდო-
 მაზეა.

— მთავარი ბულატე-
 რი?
 — ბანკში წავიდა.
 — მაშინ, თუ შეიძლე-
 ბა, საგეგმო განყოფილე-
 ბას დამაკავშირეთ!
 — ინებეთ!
 — საგეგმო განყოფილ-
 ება გისმენთ! — მიუგო
 მდივანმა ქალმა.
 — ვთხოვთ, განყოფი-
 ლების გამგესთან დამა-
 ლაპარაკოთ! — გაისმა
 პოპატანასოვის ხრინჩიანი
 ხმა.
 — სამინისტროშია.
 — მოადგილე?
 — ქარხნის ტერიტორი-
 აზეა.
 — აბა, განყოფილება-
 ში ვინ არის?
 — მეგემავი პოპატა-
 ნასოვ, ოღონდ ასლა
 თათბირს ატარებს.
 პოპატანასოვმა გაილი-
 შა და საბანი თავზე წაი-
 სურა — ურთიერთმფარ-
 ვულობის მექანიზმი ავ-
 ტომატივით მუშაობდა.
 თარგმანა
 შოთა ამირანაშვილი

ნახ. პ. კაპულინა (რუმინეთი)



უსიტყვოდ



ფორმალისტი

სულ გარეგნულ წესებს იცავს, მიკროსკოპით
სინჯავს, უმჯერს!
ყურადღებას ამახვილებს მხარეებზე, ფორმალურზე!
ხალხისათვის, საქმისათვის, აწმყოსთვის და
მომავლისთვის
ერთნაირად საზიანო, მანვე არის ფორმალისტი!

კომისია

სამეული ბრაზაბრუხით ჩაპყვა რესტორნის ხის კიბის ნაპირმოცვეთილ საფეხურებს.
დარბაზის კართან მათი ტრიუმფული სვლა შეაფერხა წინ მიმავალმა კაფანდარა ადგილკომის თავმჯდომარემ, რომელიც შეჩერდა და წვრილი კისერი მხრებამდე შეპყო ოდნავ გამოღებულ კარში. მის გვერდით მთავარი ინჟინრის ხმელსმელი ფიგურა აეყუდა თემიდას მახვილივით, ხოლო ორივეს შთიდან დაგორებული ზვავივით მიაწყდა სუპერშიმეწონიანი ღირექტორი.
მიაწყდა, მაგრამ უკან დაიხია, როცა ადგილკომის თავმჯდომარის გაბადრულ სახეს მოპკრა თვალი.
— გაებნენ! — ნიშნის მიგებით წარმოთქვა ჯვარცმულ იესოსავით კარსაკრულმა თავმჯდომარემ, — ორ მაგიდას ჩვენი თანამშრომლები უსხედან!
— გარეწრები! — კბილებში გასცრა ღირექტორმა, — ლოთობაში ფლანგავენ სამუშაო დროს!
— აი, რატომ ვერ ვასრულებთ გეგმას! — მალლა შემართულმა თითმა კიდეგ უფრო დააგრძელა თემიდას მახვილი, — კარგად დაზვერე, თუ კაცი ხარ; ვინ არიან და რამდენი ბოთლი ღვინო აქვთ დალეული! ხვალვე სამაგალითოდ უნდა დავსაჯოთ, სხვამ რომ ველარ გაბედოს მსგავსი უმსგავსოება!
— მაგათ კი ვუჩვენებთ სეირს, მაგრამ ჩვენ რა კენათ? — შეუყოყმანდა მწვერავი.
— სხვაგან წავიდეთ! — წაბურტყუნა ნირწამხლარმა ღირექტორმა, — წუხანდელი პანძელია ვარ ერთი ლუკმაც არ ჩამიდვია პირში!

გურამ შარაშიძე

(ნაღვლიანი მონოლოგი)

სამსახურში ყოველთვის დროზე ვცხადდები და, რა თქმა უნდა, სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ ვტოვებ კაბინეტს. პირნათლად ვასრულებ ჩემს მოვალეობასა თუ საზოგადოებრივ დავალებას. რომ იტყვიან, თავის მოსაფხანად არ მცალია. შესვენებითაც ვერ ვსარგებლობ: ხან რა გამოჩნდება და ხან რა, ხან რას დამავალებენ და ხან რას.

დახს, სამსახური და მხოლოდ სამსახური! ღამე არა მძინავს. ათასგვარი სამსახურებრივი საქმე მიტრიალებს თავში. განთიადზე, თუ ოდნავ ნამთვლიმა, სიზმარში მთლად დაკარგული მაქვს მოსვენება. რას არ მავალებენ, რას არ ვაკეთებ!.. დილით ადრე ვდგები, გავრბივარ სამსახურში და... ასე მეორდება, რა ხანია, ყოველდღე.

მიუხედავად ასეთი თავდაუზოგავი მუშაობისა და პასუხისმგებლობის გრძნობისა, მაინც არავინ არის ჩემი მადლიერი.

არადა, როგორ მინდა, სანიმუშო მუშაკის სახელი მქონდე, მისაბაძი ვიყო კოლექტივში!

ძვალი და ტყავი დავრჩი, დღე და ღამე ვასწორებ, მაინც არაფერი გამომდის, ოჯახიც დანგრევის პირას მივიყვანე! სამსახურიდან როდის გამაგდებენ, არ ვიცი, გაგდებას ვინ ჩივის, სამზევოზე დავრჩებოდე!

რა მრჯიდა, ვყოფილიყავი ჩემთვის?! რაზე გამოვიდე იმ დასანავად დღეს თავი, რაღაც დავალება რომ მომცეს?! არა სჯობდა, ერთ ყურში შემეშვა და მეორე ყურიდან გამეშვა?! რა ბედნიერი ვიყავი! — არავინ არაფერს მეკითხებოდა და არავის არაფერს ვეკითხებოდი, ნებაზე დავდიოდი, თუ მინდოდა, გამოვივიდი სამსახურში, თუ მინდოდა, საერთოდ დავიკარგებოდი მთელი თვე!.. კინოშიც დავდიოდი და თეატრშიც, ხან ზღვაზე ვისვენებდი, ხან — მთაში. სად არ ვმოგზაურობდი, რა ქვეყნები არ მოვიარე! რა არ ნახეს ჩემმა თვალებმა, რა არ გაიგონეს ჩემმა ყურებმა!.. დავსრიალებდი გაკრიალებული მანქანით, ვქეიფობდი, დროს ვატარებდი, ცა ქუდად არ მიმანჩნდა და დედამინა — ქალამინა!

სამსახურში ყველა პატივს მცემდა. ერთადერთი ანა მსაყვედურობდნენ, თავს რატომ გვანატრებო?! ცივ ნიავს არ ვაკარებდი ოჯახს, მზე და მთვარე ამოსდიოდათ ჩემზე მეზობლებს, ნათესავეებსა თუ მეგობრებს!..

რა მრჯიდა, რაში ვაყვავი, თავი?!

მოისმინა ნოვადი ბართაიამ



ნახ. მ. აბაშიძისა

— ნახე ეგერ, ის ამხანაგი რესტორნიდან დაოთხილი გარბის სამსახურში, შენ კი, ფხიზელი, უსაქმოდ დაყიადობ სამუშაო საათებში!..

გორდუი, დადიანისეულ სასახლეუი

1983
14. III
83
საქართველო
საგარეო ურთიერთობების მინისტრის
გენერალური მდიანობა



თავის დროზე არაერთი უცხოელი სტუმარი მოუყვანია ალტაცებაში მართლაცდა „უფლის ხელით მოხატულ“ სოფელ გორდს — ერთ-ერთ თვალწარმტაც აგარაკს იმერეთში. იგი ცნობილი იყო, ასევე, დადიანისეული მშვენიერი სასახლითა და მისი კარ-მიდამოთი, შეხანიშნავი ზალით. მაგრამ დღეს აქ საამო და თვალგახანარი აღარაფერი დარჩენილა. ზღის ნაწილი, კარგა ხანია, სატყეო მეურნეობას ეკუთვნის, ხეივანები ეკაღბარდით დაფარულა. იქვე, სასახლის ყოფილ საგუშაგოში, მეწადის პატარა სახელოსნო გაუხსნიათ!.. ზღის ბოლოში ნაღვლიანად გამოიყურება თავბირჩა-მტვრეული და ენამოგლეჩილი ეკლესია, რომელიც აშუამად საქუჭნაოს მოვალეობას ასრულებს (მისი ზარი გორდის სკოლაშია ჩამოკიდებული).

ერთგან ქართის ბორცვია აღმართული, უელი გაშრობიათ ოდესღაც მოჩუხჩუხე შადრევნებს. ზღის გვერდით რომელიღაც სამშენებლო ორგანიზაციას ხანატორიუმის აშენება განუზრახავს, მაგრამ მხოლოდ საშენ მასალათა ნაშთი დაუტოვებია სამახსოვროდ!..

სოფელში კინოდანადგარს, ფილმის ხაჩვენებლად, ეზო-ეზო დაატარებენ, კლუბის უქონლობის გამო. ვისაც ფილმის ნახვა უნდა, თავისი სკამი თვითონ უნდა მიიტანოს.

ასეთი სურათია წულუკიძის რაიონის ულამაზეს სფოელ გორდუი.

ნეტავ, თუ შესტკივა მასზე ვინმეს გული?!

ბელა ოგანაძე
(წულუკიძის რაიონი)

სნოს ციხის დაღაღი

მრავალი მტერი მებრძოდა —
ლეკი, ოსმალო, სპარსელი!..
მონვეთ ვედექ დარაჯად,
მტერთაგან დაუთარსველი!
დღეს კი აღარვის ვახსოვარ,
მიკვირს, რას ვდგავარ, რას ველი?!
შამპირდნენ რესტავრაციას,
ვთქვი: „დამადგება საშველი!“
დრო გადის, ხარაჩოებში
ვჩრთვარ, ვით გაუბარსველი!..
თბილისში ძეგლთა დამცველებს,
ალბათ, არა ჰყავთ მთამსვლელები! —
ეგრე ჩანს, თორო აქამდე
გამაჩნდებოდა მამსვლელები!..

ფოთა არაბული
(ჭაზბეგის რაიონი)

გულდაგულ ვხვდებოდით მოხდომას ურდოთა, ოდეს მტერთ ქართველთა ნალეკვა უნდოდა!..

ფეხდაფეხ მივდევდით დამპყრობლებს — გავმწარდით! რიდი არ ვიცოდით არც ცეცხლის, არც ზავის!..

ხელდახელ შევკარით დუღაბი კედლებად ტაძართა, რომელთაც ხავსი არ ედებათ!..

მხარდამხარ ვიდოდით და ვჭექდით რიხითა, სულ ერთად ვიყავით — გვიჭირდა, გვილხინდა!..

თვალდათვალ გავზომეთ საქმეთა ფართობი, დავენყევლეთ ბნელეთი, ვადიდეთ მნათობი!..

და მხოლოდ კუჭდაკუჭ არ უღერს მართებულად! — კუჭ-ფაშვით ჯერ საქმე არ გაკეთებულა!

იური სიღებელი

მონასტრის ჩივილი

მე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი ვარ სიღნაღის რაიონში. თუ შეხსიერება არ მალატობს, მგონი, მუშვიდე-მეცხრე საუკუნეებში ამაშენეს სოფელ ტიბაანს. ეჰ, ერთ დროს მეც ვიყავი ამაყი და თავმომნონე: როცა მნახველიც მრავლად მყავდა და მომეგულიც.

ადრე ქვიტიორის გალავანიც მერტყა გარს, ნაირფერად მოხატულიც გახლდით, სამრეკლოს სიღამაზითაც და სისუფთავითაც გამოვიჩრჩოდი.

ახლა კი მოვხუცდი, ფამთა სვლამ თავისი დაღი დამასვა, კედლები დამისკდა, ჭერიდან წვიმა ჩამომდის, ჩემთვის კუთვნილი მიდამო შინაური ფრინველების ფერმად აქციეს!..

თანამედროვე ჯინსებიანმა „თემურლენგებმა“ ხომ ათასნაირი წარწერებითა და უხამსი ნახატებით ამაჭრელეს, ეზო გადამოხარეს, აქაოდა, გარდასულ საუკუნეთა ძვირფასეულობას ეძებთო, დამამახინჯეს და გამაჩანაგეს!.. გაგანია მუშაობის საათებში,

ჩემს გაპარტახებულ კერაში გაანყობენ სუფრას, ყანწებით ხელში სიამაყით ადღეგრძელებენ მამა-პაპათა ძელებს, შერე მომაყრიან ცხვირინი აულაგებელი სუფრის წარჩენებს და წაველენ. ერთხელ არავის არ წამოცდება, რომ მეც მინდა მოვლა-პატრონობა, აღდგენა-რესტავრაცია და, შეძლებისდაგვარად, ძველი სახის დაბრუნება!..

ძვირფასო ნიანგო! იქნებ თქვენც მობრძანდეთ ერთხელ ჩემს ეზო-მიდამოში და შეახსენოთ ჩვენი სოფლის თავკაცებს ჩემი თავი, იქნებ ჩემთვისაც გაიმეტონ სილა, ხრეში, კირი, ცემენტი, ქვა და აგური (რაც, სხვათა შორის, სხვათა თვალთა მოსაჩვენებლად არაერთხელ მოზიდეს ჩემთან, რამდენიმე დღე იმუშავეს და შერე გაუჩინარდნენ!).

გაღი, კეთილო ნიანგო!
ჩივილი მოისმინა მამა მალაპიშვილმა (სიღნაღის რაიონი)

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი, პრეზიდენტ ჰარი ტრუმენიდან მოყოლებული, ვიდრე რონალდ რეიგანამდე, თავს ძალზე შეურაცხყოფილად გრძნობდნენ იმის გამო, რომ დასავლეთი ევროპა ჯერ კიდევ არ არის ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენელი ნაწილი და ამ კონტინენტზე მდებარე ზოგიერთი ქვეყნის ზოგიერთი ხელმძღვანელი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებასაც კი ბედავს!

უკანასკნელ წლებში შეერთებული შტატების მთავრობამ ფრიალ სახიფათო მანევრებსაც კი მიმართა დასავლეთ ევროპაში ამერიკელთა დიქტატის დამყარების გზაზე, რაც, სიმართლე რომ ითქვას, თვით თეთრ სახლშიც ბევრ ვინმეს არ მოეწონა.

ამბობენ, თითქოს ამ ამბებით ნერვებმოშლილი ერთი სენატორი ვიზიტით ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს და შეეცადა, უშუალოდ მისგან გაეგო, თუ რა მიზნით იქნა მიღებული გადაწყვეტილება ევროპაში ახალი ბირთვულმუხტიანი რაკეტების განლაგების შესახებ. ეს არასასიამოვნო შეხვედრა დაახლოებით ასე წარიმართა:

სენატორი: ბატონო სახელმწიფო მდივანო! ჩვენ ძალზე განუხებთ თქვენი გადაწყვეტილება, რომ ევროპაში განვალაგოთ ახალი სახეობის რაკეტები, იქ ხომ ისედაც ტევა. არ არის?!

სახელმწიფო მდივანი: სცდებით, ბატონო ჩემო! ევროპაში ახლა იმაზე მეტ იარაღს როდი ვგზავნით, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წლებში ვგზავნიდით!

სენატორი: მე ვამჩნევ, რომ თქვენს ამ განცხადებასა და პენტაგონის ოფიციალურ ცნობას შორის დიდი განსხვავებაა! ამ ცნობის თანახმად, დღეს ევროპაში გაცილებით მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეა მეტი რაოდენობის ამერიკული იარაღით, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის წლებში იყო!

სახელმწიფო მდივანი: და განა თქვენ ეს გაცხებთ?! მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხომ მთელი 37 წელი გავიდა?! ჩვენ კი ამ ხნის განმავლობაში წინ წავედით, ახლა მეტი საშუალებები გვაქვს, წინააღმდეგეთ კომუნიზმის შემოტევას!

სენატორი: გასაოცარი! ამდენი სამხედრო ხარჯები და... თქვენ კვლავ აჭიანურებთ საბჭოთა კავშირთან სტრატეგიული შეტევითი იარაღის შეზღუდვის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას!

სახელმწიფო მდივანი: გულახდილად გეტყვით, იმაზე უფრო არაფერი მაძრწუნებს, როცა გავიფიქრებ, რომ, შეიძლება, ოდესმე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ამგვარ დოკუმენტზე ხელის მოწერა მოუხდეს! ეს ხომ ევროპის დაკარგვას ნიშნავს?!

სენატორი: განა ევროპა ჩვენი მეგობარი აღარ იქნება, თუ იქიდან ზოგიერთი სახეობის იარაღს გამოვიტანთ?


სახელმწიფო მდივანი: მე თქვენ მაოცებთ! განა არ გცხმობთ, რომ ჩვენ მეგობარი კი არა, ქვეშევრდომი ევროპა გვჭირდება!

სენატორი: კი მაგრამ, საზოგადოებრივი აზრი არ ეთანხმება თქვენს მოსაზრებებს საგარეო პოლიტიკის დარგში!

სახელმწიფო მდივანი: ამერიკა დემოკრატიული ქვეყანაა, ყველას შეუძლია, გამოთქვას თავისი აზრი, მაგრამ, მათი გათვალისწინება საჭიროდ არ მიმაჩნია, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთ შტატებს... მაპატიეთ სახელმწიფოს, როგორცაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ინგლისი, ბელგია...

სანამ სენატორი მორიგი შეკითხვით კვლავ გამოამჟღავნებდა თავის უემციოფილებას მთავრობის პოლიტიკის გამო, სახელმწიფო მდივანმა სადღაც დარეკა, რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი, მას ხელში სენატორის დოსიე ეჭირა, სახელმწიფო მდივანმა ქაღალდები მაგიდაზე გაშალა და ღიმილით მიმართა სენატორს:

— თქვენ გუშინ ხუთი სატელეფონო საუბარი გქონდათ თქვენს მეგობრებთან, ერთ-ერთ მათგანში განაცხადეთ, რომ ეჭვი გეპარებათ, თითქოს საბჭოთა კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებზე ატომურ თავდასხმას ამზადებდეს, გუშინ კი წერილი მისწერეთ მეუღლეს და აღუთქვით, რომ შევბუღებას მასთან ერთად გაატარებთ ფლორიდაზე და სამწუხაროა, რომ არ შეგიძლიათ მისი წაყვანა კუბაზე, რადგან ჩვენი ურთიერთობა ამ ქვეყანასთან რატომღაც აქამდე ვერ მოწესრიგდა! აი, ხომ ხედავთ, მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა სახელმწიფო მდივანმა, — თქვენი ლოიალური პოზიცია კომუნისტური ქვეყნების მიმართ, შეიძლება, არ მოეწონათ თქვენს ამომრჩევლებს, საზოგადოებრივ აზრს კი ანგარიში უნდა გავუწიოთ, ამერიკა დემოკრატიის ქვეყანაა და ჩვენთან მოქალაქეებს აზრის სრული თავისუფლება და პირად საიდუმლოებათა დაცვის სრული გარანტია აქვთ!



საზოგადოებრივი აზრი

(პოლიტიკური კამფლატი)

ტებზე ატომურ თავდასხმას ამზადებდეს, გუშინ კი წერილი მისწერეთ მეუღლეს და აღუთქვით, რომ შევბუღებას მასთან ერთად გაატარებთ ფლორიდაზე და სამწუხაროა, რომ არ შეგიძლიათ მისი წაყვანა კუბაზე, რადგან ჩვენი ურთიერთობა ამ ქვეყანასთან რატომღაც აქამდე ვერ მოწესრიგდა! აი, ხომ ხედავთ, მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა სახელმწიფო მდივანმა, — თქვენი ლოიალური პოზიცია კომუნისტური ქვეყნების მიმართ, შეიძლება, არ მოეწონათ თქვენს ამომრჩევლებს, საზოგადოებრივ აზრს კი ანგარიში უნდა გავუწიოთ, ამერიკა დემოკრატიის ქვეყანაა და ჩვენთან მოქალაქეებს აზრის სრული თავისუფლება და პირად საიდუმლოებათა დაცვის სრული გარანტია აქვთ!

პ.ორჯი



ინგლისის ავიაკომპანია "ბრიტის ერიუინგს" სამუშაოდან რამდენიმე თვის მოსამსახურე დაიხოვო. გასმითხარდა ნ.ს. ბ. ლომიძის (ტურნალი "კოკოდოლი")

7-83

83-183

რედაქციის ადმინისტრაცია კოსმოსურ სივრცეს სამხედრო
პოქმედებათა პოტენციურ თეატრად მიიჩნევს.
გაზეთებიდან

ქართული
ბიბლიოთეკა



სატირისა და იუმორის ყურ-
ნალი „ნიანგი“ № 4 (1637)
თებერვალი. გამოდის 1923 წ
ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი
ბართაია, ბორის გურგუ-
ლია, ნოდარ დუმბაძე, რე-
ვაზ თვარაძე, ჭემალ ლო-
ლუა, ნოდარ მალაზონია
(მხატვარი - რედაქტორი).
ალექსანდრე სამსონია, ბე-
ჟან სინარულიძე (პასუხის-
მგებელი მდივანი), გიგლა
ფირცხალავა, ჯანსუღ ჩარ-
კვიანი, თამაზ წიგწივაძე.
ვაჟა ჭანიშვილი (მთავარი
რედ. მოადგილე). ნაფი ჭუ-
ხოთი.


ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაცა ასაწყობად 25. 1.
83 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 25. 2. 83 წ. ქა-
ლალის ზომა 60X90^{1/2}
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი, 1,25, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,7. სა-
ქართველოს კა ცკ-ის გა-
მომცემლობა, ლენინის, 14
შეკვეთა № 236 უფ 06925
ტირაჟი 136.000. ქორნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008
თბილისი-8 რუსთაველის
პროსპექტი № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54.
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარი-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38.
მდივანი - მემანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели
№ 42. Издательство ЦК
КП Грузии, Типография
издательства ЦК КП
Грузии, Тбилиси. улица
Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდემსი 76137



ბ. ბორჯაძე

უკეთეს ვურავს, აბა, სად ვიზოვი?!
© 1983